ფასი ყველგან 10 კაპ.

ოხუნჯი

„ოხუნჯი“ იუმორისტული წერილების კრებულია. რედაქცია თხოვს თანამშრომლებს, გამოგზავნონ მასალები შემდეგი ადრესით: Контора о-ва „Ахалшени“ на дворцовой ул. домъ дворянства № 126.

№ 2

ჩხრეკა, ჩხრეკა, კიდევ ჩხრეკა!

დღეს ქუჩაში გამოვედი,
გამჩხრიკეს და გამომჩხრიკეს...
ცოტა იქით გავიცვალე,
შემჩხრიკეს და შემომჩხრიკეს!
მოუხვიე მარჯვნივ მხარეს,
წამჩხრიკეს და წამომჩხრიკეს,
ახლა მარცხნივ გავექანე,
მიმჩხრიკეს და ამომჩხრიკეს.

გადავედი სხვა ქუჩაზე,
ჩამჩხრიკეს და ჩამომჩხრიკეს...
მივაშურე ისევ ეზოს,
დამჩხრიკეს და ამომჩხრიკეს
კიბეზე რომ ავდიოდი,
გადამჩხრიკეს, გადმომჩხრიკეს...
ოთახშიაც კი დამიხვდენ,
იქაც მჩხრიკეს, მჩხრიკეს... მჩხრიკეს...

—

ეს მუდამ დღე ასე არის,
გადის თითქმის ორი წელი,
მაგრამ ბომბა ვერ მინახეს,
არ ეშველა არაფერი.
ჩხრეკა, ჩხრეკა, კიდევ ჩხრეკა,
შეჩხრეკა და შემოჩხრეკა,
გადაჩხრეკა, გადმოჩხრეკა,
ჩაჩხრეკა და ჩამოჩხრეკა.

ე-

ეპისკოპ...—სულის მამებო! ამ ურჩ მოძღვარსა
სჯობს ანაფორა კვლავ გადავაცვოთ,
რომ მონასტერში სადმე გავგზავნოთ
და იქ ვით უწინ—ღმერთი ვალოცოთ.

თათარიშვ...—რაც გინდ მიყავით—მე ანაფორას
აღარ ჩავიცვამ! არა და არა!..
რაც აქამდისინ ხალხი ვატყუე,
ჩემი სულისთვის ისიც კი კმარა!!

საადგომო ფანტაზია.

მაცხოვარმა მოისურვა
საადგომოთ ქვეყნის ნახვა,
მაგრამ ჩვენმა პოლიციამ
მსწრაფულ შეიტყო ეს განზრახვა.

მოსწყდა ზეცას სხივი მზისა,
გაგვიმეფდა ქვეყნათ ბნელი
და იესო მაცხოვარმა
განიზრახა საქმე ძნელი...
გადასწყვიტა, საადგომოთ
ჩვენი ქვეყნის კვალად ნახვა,
მაგრამ ჩვენმა პოლიციამ
მსწრაფულ შეიტყო ეს განზრახვა.

ანკი ქრისტემ რა იცოდა
მთავრობისა ჩვენის ხრიკი,
რა იცოდა, თუ ზეცაშიც
ბლომათ ყავდათ ჯაშუშ-შპიკი.
ძირს დაეშვა უჩინარათ
და თფილისში გაჩნდა იგი;

(მაგრამ თქვენს მტერს, რაც აქ დახვდა
საღდგომო მას წეს-რიგი!)
ნახა ქუჩა ჯარით სავსე...
პოლიცია ათას-გვარი
ხელში რკინის საჩხუტელით
ახმახი და საზიზღარი,
იქ ყაზარმა, აქეთ ციხე....
თან „პილატეს“ ნახა ბინა.
გაახსენდა რომის ჯარი
და მაცხოვარს შეეშინა.
მსწრაფლ გადიცვა სამოსელი,
არც მდიდრული, არც თლა გლახა;
სობოროსთან მიირბინა,
მოისურვა წირვის ნახვა.
აქ კარებში დახვდა კაცი
ახალგაზრდა, რკინით ხელში,
მოიმარჯვა მან ეს რკინა
და შემოჭრა საფეთქელში.
უდიერი საქციელი
ქრისტემ მისგან არ იწყინა;
სთქვა: „არ იცის, რას იქმოდის,“
თანაც სიმწრით ჩაიცინა.
მიუბრუნდა და ტკბილი ხმით
მოდარაჯეს მოახსენა:
რისთვის უდგას ამ სობოროს
და აქ ის ვინ დააყენა?
მაგრამ თურმე კარებს უკან
იდგა კაცი გამცემელი....
უცებ გაჩნდა პოლიცია
და მაცხოვარს სტაცეს ხელი.
დაუჩხრიკეს ჯიბეები
და გაუსკდათ საწყლებს გული!!
(ტუსაღს აღარ აღმოაჩნდა
ერთი ცალი გროში ფული!!!)
ბრაზ მოსულმა ბოქაულმა
ერთი რჯულზე დააგინა...
და „უჩასტკის“ ბნელ ჯურღმულში
მიუჩინა იმას ბინა....
მეორე დღეს უჩასტკიდან
„კამენდანტში“ გაამგზავრეს;
აქაც მთელი დღე აწვალეს,
დასტანჯეს და გაამწარეს.
ბოლოს, რაკი ვერ უპოვეს
იარაღი ან სხვა რამე,
აკმარეს ის, რაც იტანჯა
ორი დღე და ორი ღამე.
მხოლოდ ეს კი დაავალეს.—
ქალაქიდან მსწრაფლ გავიდეს,
ან ბაქოში ჩაესახლოს,
ან ქუთაისს გადავიდეს.
  რაკი თავი დაახწია
და „პასპორტი“ დიხელა,
ხაშურისკენ გაემართა
ქრისტე ღმერთი ნელა-ნელა.
ნიჩბისში რომ ჩამოვიდა,
დაედევნა მას „ტარშინა.“
(„პროპაგანდას“ მიამსგავსა,
რამაც ძალზე დააშინა)
დაიჭირა და მუხლამდე
ბინძურ წყალში ჩააყენა;
ენა იმას როგორ იტყვის
რაც მას ტანჯვა მიაყენა.
„რომ ნიჩბისის სამთავროში
აღარ დასძრას ერთი ენა,“
ეს პირობა ჩამოართვა
და ისევ გზას გაუყენა.
  საღამოს ჟამს დაღალული
  სურამისკენ მიდის ვზაზე,
  მაგრამ, რაღაც სახიფათოდ,
  შეეხეჩა აბაზაძე.
გადასძახა ყიზილბაშებს,
რომ შეეკრათ ეს „რაზმელი“
და კაცისა მჭამელებმა
გაუბაწრეს ქრისტეს ხელი.
თითონ ცხენებს მოასკუბდენ,
ბედაურს თავს ვერ უჭერენ,
ქრისტე ფეხით გამოიგდეს,
მთრახებსაც გადუჭერენ.
თუ რომ შესდგა, ან წაიქცა,
წაჰკიდებენ ყოფას მწარეს...
და ამ გვარათ, ძალ-მიხდილი,
ის ბაქრაძეს ჩამოგვარეს.
ნაჩალიკმა მოუწონა
აბაზაძეს ესე ქცევა...
უთხრა: ამგვარ საქმეებში
მას თვით ქრისტე შეეწევა!
  აქაც „ოჯდა“ ბნელ საკანში
ეგ „რაზმელი“ მაცხოვარი
უჭმელ-უსმელ-უსინათლო
თითქმის ორ დღე ნახევარი.
ბოლოს დართეს ისევ ნება,
იმერეთში გადიაროს,
ისე კი, რომ სურამისკენ
მან კვლავ აღარ შეიაროს.
  გაემართა სოფელ-სოფელ
და მივიდა ვარვარინოს,
აქ მას არვინ ეგულება,
რომ ღამით არ დაძინოს.
მაგრამ თურმე სახლში იყო
„პრაპურჩიკი“ საევანელი
(ქვიშხეთისა „დიქტატორი“
და სავანის მამა მცველი).
„უცხო“ პირი რომ მოვიდა,
იყნოსა და დაიგეშა....
(მეძებრების ჯიში მოსდგამს,
თქვენ გაგიმხელთ ნამუს ქვეშა)
მაგრამ ქრისტეც გაეჩვია
და დაუსხლტა მტარვალს ხელით...
(წვერებს იგლეჯს სავანელი
სიბრაზით და სისულელით...)
კორტოხის გზით გადიარა
და რაჭაში შესდგა ფეხი,
მაგრამ სტრაჟნი ბაქრაძენი
თავს დაატყდენ როგორც მეხი.
დაედევნენ ეს მხეცები
დაგეშილნი კაცის კვლაზე...
ბევრი ტყვიაც მიაყარეს..
(მაგრამ ფუჭათ მის ილბალზე).
მიატოვა ქრისტემ რაჭა...
და შორაპანს მიაშურა,
მაგრამ აქაც სდარაჯობდა
დაგეშილი ბერი ტურა.
ჰიათურის „ნამესტნიკმა“
მსწრაფლ შეიტყო ეს ამბავი
და კედია ბოქაულმა
ერთობ ისახელა თავი.
საჩხერეში ჩაუსაფრა
გზათ მომავალს რაზმი დიდი.
ყვირილაზე სულ აჭყარა,
თუ კი იყო სადმე ხიდი.
  შეაღამის ჟამს დაინახეს,
მოდის იგი თავ-დახრილი,
ხუჭუჭი და შავი თმები
მხრებზე ჰქონდა გადმოყრილი.
სტაცეს ხელი, დაიჭირეს
და გაუკრეს უკან მკლავი.
ერთი ყვირის; „თმაზე ვატყობ,
სწორეთ არის მოსაკლავი.“
ზოგის აზრით „რაზმელია,“
ზოგს ჰგონია „პრაპაგანდა“
ამ საქმეზე ყვირილიდან
მახარაძეც ამობრძანდა.
თან ამოჰყვა აბაშიძე
სტრაჟნიკებში პირველ თქმული
და გეწაძე ჯაშუშთ შორის
უსწორ-ბადლო და განთქმული.
გააჩერეს უცხო მოყმე
და ჩვენება გამოჰკითხეს,
თუ ვინ არის, ან სად მიდის,
დაწვრილებით ყველა ჰკითხეს!
ბოლოს, დიდი რჩევის შემდეგ,
ქუთაისში გაამგზავრეს...
(„გზაში თუ გსურთ მოჰკალითო“,
ჩუმათ სტრაჟებს დაუბარეს).
ლოთიჯანა სტრაჟნიკები
ერთ დუქანთან დაქვეითდენ,
მოითხოვეს პური, ღვინო,
გადაჰკრეს და შექეიფდენ.
ამით ქრისტემ ისარგებლა,
გაიქცა და მიიმალა.
გადალეშილ კაცი-მუამლებს
გამოავლო პირში ჩალა.
იმავ ღამეს გადიარა
რიონი და კოპიტნარი.
წვიმა იყო უსამველი,
შავი ზღვიდან ქროდა ქარი.
მეორე დღეს აბაშაში
ძლივს ჩავიდა დაქანცული,
წვიმისაგან ამოწუნწულს
თან შიმშილით უცემს გული.
ახლა ნანობს ამ მგზავრობას,
სწუხს, რომ ქვეყნათ ჩამოფრინდა.
ამ დროს კოსტა ცომაია
აბაშისკენ გამოფრინდა.
ვიღაც მღვდელმა უჯაშუშა
და უჩვენა მისი კვალი,
მაგრამ ტყვილათ! მაცხოვარი

ლანჩხუთს იყო მიმავალი.
მიქიაშვილს, რა თქმა უნდა,
ეს საქმე არ დაემალა,
ლაპარტყავას და კოწიას
მისი პოვნა დაავალა.
შეწრიალდა მთელი მხარე—
ინგუში თუ ყიზილბაში,
აქეთ ნინო დადიანი,
იქ ნიკოკი უსტაბაში.
სურებიდან დაწყებული
ვიდრე მიქელ-გაბრიელი
ყველა კუთხე დაიარეს,
მაგრამ დარჩენ ცარიელი.
დაჩახმახდა ტოლმაჩოვი
„გუბერნატორ-პოლკოვნიკი“
სწუხს რომ არ ყავს ღღეს ჯანმრთელად
მას რომ, უნდა ის სტრაჟნიკი.
თორემ იგი საღამომდი
გაბაწრავდა „უცხო სტუმარს,“
თან ნადავლსაც მოიტანდა
სოფლებიდან ორმოც ტომარს.
მაგრამ თურმე სახიფათოთ
აღდგომისა წინა ღღეში,
ოცა გოჭებს ყიდულობდა,
ტყვია დაჭრეს საფეთქელში.
ღღეს ლოგინათ ჩავარდნილი
სულსა თვისსა კბილით იჭერს.
და იმ უცხო პროპაგანდისტს
აბა, მითხარ, რით დაიჭერს?
მაგრამ ზენა განგებასაც
თავისი აქვს სამართალი.
გურიაში კიდევ დარჩა
ერთი გიჟი და აბდალი.
სახელია მისი სეფე,
ბასილეთში უძევს ბინა,
(წელიწადზე მეტი არის,
რაც ის ხალხმა შეარცხვინა)
დატრიალდა ჩვენი სეფე
და იპოვა ის „სტუმარი“.
ავათმყოფი, გლეხთან იწვა
და სდიოდა ოფლის ღვარი.
წამოაგდო ლოგინიდან
და ტოლმაჩევს მიუყვანა.
თითონ ფიქრობს: ვაჟკაცობით,
გადარია მთლათ ქვეყანა!!
ოზურგეთში წესისამებრ
ჯერ სცემეს და გააწამეს,
შემდეგ ვანო ციხის უფროს
ჩააბარეს იმავ ღამეს.
მეორე ღღეს დილიანათ
„სინედრიონს“ ქონდა „სუდი“
და გადასწყდა, რომ ეს არის,
აქ რომ დასჭრა გოჭის ქურდი.
მიუსაჯეს სამუდამოთ
კატორგა, ან ციხე ბნელი,
ან ირკუტსკში დასახლება,
ან ოცი წლით არხანგელი.
ეს იმიტომ, რომ ვერ ნახეს
მისი ცუდი ნამოქმედი,
თორემ მისი გადარჩენის
აღარ იყო სულ იმედი.
პირველ ეტაპს გააყოლეს
სხვებთან ერთათ გადაბმული,
უკან ცხენით კაზაკები
მიყვებოდენ დარაზმული.
ავადმყოფს და დასუსტებულს
არ შეეძლო სხვებთან რბენა,
მაგრამ დასცხეს მათრახები
და ცხენებმაც იწყეს კბენა.
გაუჭირდა ქრისტეს საქმე,
ვერ გაუძლო ამდენ ენებას;
ისევ ზეცას მიაშურა
და დამთხოვა მეც ოცნებას.

ეშმაკი.

დუმა და ხალხი.

დეპუტატ ზურაბოვის ინციდენტი. როგორც სარწმუნო და არა სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, დეპ. ზურაბოვს უთქვამს: „მანჯურიაში იაპონელებმა ჩვენი ჯარი დაამარცხესო.“ ისიც უთქვამს, რომ „ღღეს — ღღეობით ჩვენი მხედრობა მხოლოდ „შინაურ მტრებზე“ არის მამაცი და გამარჯვებულიო.“ რაღა ლაპარაკი უნდა, ამ „ცილისწამებას“ ვერ მოითმენდენ ჩვენი მხედართ-მთავრები და აი „შეურაცყოფილი“ თავმოყვარეობა უკვე მოითხოვს დაკმაყოფილებას ზურაბოვისაგან. მის სახელზე მოსულა ექვსას ოცდა ჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდა ერთი მუქარის წერილი, ვისგანაც ჯერ არს. ამათგან 348,007 წერილი მარტო კავკასიიდან არის გაგზავნილი.

—

დუმის სტატისტიკურმა ბიუროომ გამოარკვია, რომ ყველა მუქარის წერილის წაკითხვას დეპუტატი ზურაბოვი მხოლოდ 28 წელიწადს მოასწრებს, თუ ღღე და ღამეში რვა-რვა საათს იკითხავს. მაგრამ ხულიგანთა მთავარი შტაბი უკვე მის მოსაკლავათ ემზადება და, ცხადია, ბევრი წერილი წაუკითხავიც დარჩება.

—

პირადი მნახველები. დეპუტატ ზურაბოვის ბინაზე საათში 407 - ვიდრე 1281 კაცამდე მოდის დუელში გამოსაწვევათ. ასე რომ კვირაში დაახლოვებით 60,000 დუელი უნდა გამართოს და ექიმების გამოკვლევით ეს შეუძლებელია.

—

კრუშევანის მგზავრობა. ამ ახლო მომავალში ჩვენს კუთხეს არა ჩვეულებრივი სტუმარი ეწვევა. ადგილობრივ ხულიგანთა დასაკურთხებლათ მოდის პავლაკი კრუშევანი. შეუდარებელ პოგრომჩიკს განზრახვა აქვს ინახულოს ცხინვალი, სურამი, კულაში, ლაილაში და სხ. ცხადია მიცვალებულთა დეპუტატს განსაკუთრებული მინდობილება აქვს, ვინაიდან აღნიშნულ სოფლებში უმთავრესათ ებრაელები სახლობენ.

პეტერბურგის დუმიდან არაფერი გამოდნება. ერთად-ერთი გამორჩენა ისაა, რომ დეპუტატებს ეძლევათ თითო თუმანი დღეში. რომ დუმა დაეშალათ, ეს დაეკარგებოდათ დეპუტატებს. კიდეც ძალიან გამწარდა გოლოვინი — დუმა იხსნა!

—

დუმის სუნი ეცათ ქართველ. მემამულეებს და თავ-მომწონეთ იმეორებენ: ხალხს ადგილი კი არ უნდა, ადგილის დამუშავების ცოდნა და კიდეც ამიტომ იბრძვიან კადეტებიო. ეს ლიბერალური კლიმაჟურებია!

—

სახ. დუმის დეპუტატმა **მარევმა** შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო გორსკის მუშათა პროფ. კავშირისაგან. „რადგანაც რუსეთის მუშებს ახლო მომავალში მძიმე და სერიოზული ბრძოლა მოგველის და რადგანაც ვიცით, რომ **ლოთებს არ შეუძლიანთ თავისუფლებისათვის ერთგული შეგნებული ბრძოლა, ჩვენ 15 მარტის კრებაზე დავადგინეთ მოვერიდოთ მაგარ სასმელებს და მთელი ჩვენი ყურადღება გავამახვილოთ თავისუფლების საქმეს შევსწიროთ.**“

—

ხაშური. მიხაილოვის დეპოს მუშათა მონდობილობით ულრმეს პროტესტს ვაცხადებ გორსკის კავშირის დადგენილების წინააღმდეგ. ჩვენ არ გვინდა რუსეთის მოქალაქეთა მცირე უფლებებიც დავკარგოთ და მუსულმანებივით გამოგვრიცხონ მინისტრებმა მოქალაქეთა რიცხვიდან. ამიტომ ჩვენ გავაგრძობთ ხმარებას მაგარი სასმელებისას. „ისევ და ისევ ღვინითა....“

მონტიორი **ლიპუშკინი.**

რამე—რუმე.

ქუთათურებს ნება დარჩეს
ისერონ სამი ღამე,
მაგრამ მაინც ვერ იხილეს
სიხარული და სიამე:
რაკი ერთხელ მიეჩვევნენ
ექვს ს ათზე დაძინებას,—
ღრმა ძილითვე მიეგებენ
აღდგომას და გახსნილებას.

—

სოხუმლებსაც არ აწუხებთ
არცა კარგი, არცა ავი
და ფოთელებს შეუთვალეს:
„არც თქვენ ქალაქს უნდა თავი“!
ბათუმიც მათ მხარეში უდგა,
არც აქ არის დიდ-პატარა
და სამივემ ეს აღდგომა
მუშტი-კრივში გაატარა!...

—

თავის ძმებში თავს მაღლა სწევს
დუშეთელი მეტრეველი,—
ჯვარი ღობეს გადულოცა
და დანოსებს მიყო ხელი:
ბევრი მუშა და მშრომელი
ციხეებშ ჩაამწყვდია
და თითონკი გაღეშილი
დღესაც სულის მამათ გდია!..

მიმინო.



თავისუფლების თავ-გადასავალი.



მოწაფეები საეგზამენოთ.

პროვინცია.

ს. მათხოჯი. „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“ იტყვიან და სწორეთ ეს ითქმის ჩვენს მოძღვარ სამსონ შენგელიას შესახებ. ჯერ იყო და სოფ. ჭიგანის მრევლმა ის „ცხენის ქურდის“ სახელით მონათლა, ახლა სოფელ მათხოჯშიაც ვერ დაიფასეს მისი ღირსეული მოღვაწეობა. რა ვუყოთ მერე რომ მღვდელს დღევანდელი სახალხო მოძრაობა არ მოსწონდეს? მაშ რიღას მღვდელი იქნება **ის, თუ ერთი ორი კაცი ციხეში...** მაგრამ ეს ყველაფერი გამოიყიდა უკანასკნელი მოღვაწეობით. სამსონმა დალალ-მაჭანკლობა დაიწყო. ის უსაქმოთ დარჩენილ ხალხს ადგილებს აძლევს, რისთვისაც სულ მცირე სასყიდელს კმაყოფილდება. მართალია უმეტეს ნაწილათ ფულებს სჭამს და ადგილს არავის აძლევს, მაგრამ **განა მღვდელს ჭამა არ უნდა?** აი ამისა და მრავალი ამგვარი საქციელისათვის ემდურიან სამსონ შენგელიას და მოდი და ნუ იტყვი „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.“

გველიძე.

სად. აჭსტაფა. სადგურის უფროსის თანაშემწე ნიკოლოოზ ორჯონიკიძე **შესანიშნავ თხზულებას სწერს.** წიგნში აღნიშნული იქნება „აქსტაფის რევოლიუცია“ ჯ ნიკოლოოზის ყოფილი „ამხანაგების“ მოღვაწეობა. **მიხელსონი.**

ოზი. (რაჭა) ენიაზ ჯიბიკომ, ბიჭიკომ და მიხაკომ ონის ადმინისტრაციას მოხსენება წარუდგინეს შემდეგის შინაარსით: „თქვენ მიერ ბოძებული ბერდენის თოფები არ გვყოფნის გლეხების შესაშინებლათ. სამჯინოა თითო ენიაზზე თითო ზარბაზანი. აგების არის ურჩი გლეხები ამითი მაინც მოვიყვანოთ ჭკუაზე“. მთავრობას დახმარება აღუთქვამს მათთვის.

სხვავა. (რაჭა) ჩვენმა მღვდელმა ვ. გ—ნმა ამას წინეთ სტრაჟების მათრახებით აიღო დრამა. როდესაც სტრაჟნიკები დრამასა ჭკრეფდენ სოფელში, იმ ჟამათ სულიერი მამა სოფლიდან ივლტოდა. სტრაჟნიკების მათრახებით აწიოკებულმა ხალხმა სულიერ მამას საყვედური გამოუცხადა. სულიერმა მამამ თავი ასე იმართლა: „ხომ იცით, მე აღებ მიმცემი კაცი ვარ; ხარების საყიდლათ წასვლა მინდოდა, ფული არა მქონდა, აბა რაღა უნდა მექნა, თუ არ სტრაჟნიკებით ამეღო დრამის ფული.

რაჭველი შურდული.

ნაკვესები და დამაკვირდი.

ერთხელ ორ კაცს ჩხუბი მოუვიდათ. ორივე მოლასთან გაიქცა საჩივლელად. როდესაც ერთმა მოახსენა ყოველისფერი, მოლამ უთხრა, მართალი ხარო. ამის გაგონებაზე მეორემ მოლას უკმაყოფილება გამოუცხადა. მოლამ მასაც უთხრა: შენც მართალი ხარო. როცა მომჩივანნი წავიდნენ, ცოლმა უთხრა მოლას: კაცო! ან ერთი იქნებოდა მართალი, ან მეორე. შენ კი ორივე მართლათ იცანიო?

მოლამ მიუგო: შენც მართალი ხარო. ვინ იქნებოდა მართალი?

გლეხი ვანო.

ერთ გაზეთის რედაქციიდან გამოვიდა ორი თანამშრომელი. კარებში ერთი მეორეს შესთავაზობდა პირველად გასვლას. ხანში შესულმა უთხრა ახალ-გაზდას: თავადი ხარ, პირველათ გასვლა შენ გეკუთვნის — წარმავალი ხარო! ამაზე თავადმა მიუგო: ჩვენი ძველი ცხოვრების ისტორიკოსი შენ ხარ, წარსულისაკენ გეზიდება სული, წადი ბარემო. აქვე შემთხვევით მესამე ყმაწვილი კაცი წამოესწროთ და მიახალათ: შეუპატიჟებლადაც გაეტევით ცხოვრების კარებიდან, ისეც ორთავე დაგვიანებული ბრძანდებითო. მკვდარი მკვდარს ეკიდებოდა, ორივე კი სამარის კარებისაკენ მიდიოდენო.

უპორტფელო მინისტრი

— თავი გამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ, ჩემო ცუგრუმელებო! მას შემდეგ, რაც მე პორტფელი დავკარგე, თქვენი სურვილის დაკმაყოფილება ძალიან მიძნელდები.

ინტენდანტის ჩინოვნიკი.

—ივან პეტროვიჩ! ეგრე რათ გამხდარხართ?

—ეეე! ელენა პეტროვნა! უწინ ქერი, ბზე, კონსერვები და სხვა ამისთანები ყველა ჩემ ხელში გადიოდა და ეხლა კი... მშვიდობით სამუდამოთ!!.



ადელხანოვი ნადიმობს.

*
* *

სამოელ და მელქისედეგ
ნაკაიძე, მახარაძე
ერთმანეთის სწორ-ბადალი,
ერთმანეთის მთვარე და მზე,
სულით, გულით ჩანასკულნი,
მოუბარნი ერთ ენაზე,
[illegible]

მოარულნი ერთსა გზაზე,
სიყრმიდანვე თან შეზრდილნი
ერთ რჯულსა და ერთ მცნებაზე
—დახეთ ეშმაკს!—სიბერის დროს
წაჩხუბულან რაღაცაზე,
ერთობ დიდათ განაწყენნი
გასდგომიან ურთერთს განზე
და აშკარათ კამათობენ
სინდისსა და სამართალზე...
(ნეტავ რა აქვთ გასაყოფი
ან ამ ქვეყნად, ან იქ ცაზე?)
ვინც კი იცის ამა გმირთა
სიწმინდე და სილამაზე,
დაიკვდება, დაფიქრდება
ამ უცნაურ მათ ბრძოლაზე.
მე ცოდვილიც ასე ვფიქრობ,
მაგრათ ვდგევარ ამ ჩემ აზრზე:
მათი ბრძოლა „ფოკუსია“
რაღაც ახალ ყაიდაზე.
და თუ ასე არ იქნება,
გაჰქრეს ცეცხლი ჩემ კერაზე
და კალამიც დამიურჩდეს
ამისთანა ლექსთ წერაზე.

ლ.

ოზურგეთი.

ჟარაგმული ამბავი.

(ზღაპრისებური).

იყო და არა იყო რა, სიმართლეზე უფრო მწარე და ცოდვაზე უფრო ტკბილი რა იქნებოდა? იყო ცხრა მთას გადაღმა და ათ ზღვას იქით ერთი მამფალი, სახელათ ლომკაცი, რომელსაც წესათ ჰქონდა თურმე დადებული: როგორც კი გაიგონებდა ესა და ეს შენი ყმა საჯაროთ სიმართლის მეტყველიაო, მაშინვე თავს წააგდებინებდა... სიმართლე ცეცხლიაო, ბრძანებდა მამფალი, ზღუდეთა შიგნით, კერძო სახლის კერიასთვის დიდი სასარგებლოაო, ხოლო გარეთ გამოტანილი, შეიძლება მთელს სახელმწიფოს მოედვას და ერთიანათ გადაბუგოს ყველაფერი, რაც ამდენ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს წინაპრებს მოუმარაგებიათ და რითაც ჩვენ სული გვიდგას და ვცოცხლობთო.

ერთხელ მამფალს წარუდგა შემკრთალი და შიშისაგან ფერ მქრალი ნაზირ-ვეზირი, თაყვანი სცა და მოახსენა: დიდებულო მამფალო, შენი საბატონოს ამა და ამ თემში გამოჩენილა ერთი შიშველ-მშიერი მწყემსი, დადის დაბათ და სოფლათ და სიმართლეს ღაღადებს. გვინდოდა, სანამ შენ მოგახსენებდით, მანამ გაგვეგდებინებია მისთვის თავი, მარა იმ თემის ერს ძალიან უყვარს იგი და იცავსო. თუ არ შენი ბრძანება და ლაშქრის ძალა, ისე შეუძლებელია მისი ხელში ჩაგდებაო.

მამფალი შეკრთა, ეცვალა ფერი, ფიცხლავ შეყარა ლაშქარი, იახლა თავისი პირმშო და გასწია იმ თემში. ისეთი ჩქარი ტარებით მიბრძანდებოდა მამფალი და მიყავდა ლაშქარი, რომ მისმა პირმშომ ბევრი ითმინა, მარა ვერ მოითმინა და ბოლოს მოახსენა: მამფალო—ბატონო, განა აგრე სასწრაფოა შენი იმ თემათ მიბრძანებაო?

ᲐᲛᲤᲐᲚᲛᲐ შეკრა წარბები და მიუგო: იცოდე ჩემგან, შვილო, რომ სიმართლე, მაძლართა და მდიდართაგან ნაქადაგები, უბედურებაა მამფალისათვის; ხოლო სიმართლე, შიშვლებისა და მშიერებისაგან ნაღაღადები, ნამდვილი ღვთის რისხვაა ჩვენდა დასასჯელათ მოვლენილიო.

მამფალის პირმშო ერთგული შვილი იყო მამა-მისის, ამიტომაც მოწიწებით იუწყა და იგულისხმა, რაც მან უბრძანა.

მალე მივიდენ იმ თემში, სადაც იგი საშიში მქადაგებელი სიმართლისა მოვლენილ იყო.

თემს გაეგო მამფალი ლაშქრით მობრძანდებაო, და ყველა დიდი თუ პატარა მორთულ-მოკაზმული გამოეგება. წინ იდგენ თემის უხუცესნი, თეთრ წვერიანები, თაყვანი სცეს მამფალს, დაუგეს გზა ფიანდაზით და მიართვეს ხონჩით პურ-პარილი.

მამფალმა სალამი უწყალობა, დაუყვავა, მამაშვილურათ დაარიგა და ბოლოს, როცა იფიქრა—ახლა კი ყველანი ჩემს ჭკუაზე მოვიყვანეო, მოთხოვა მათ ის შიშველ-მშიერი მღაღადებელი სიმართლისა.

მთელი თემი, როგორც ერთი კაცი, ჯერ მუხლზე დავარდა, მერე გაენართხა მიწას და მორთო ქვითინი. წამოდგა მათგანი ერთი, ღრმა მოხუცი, იმ თემში ყველაზე უფრო საპატიოთ მიჩნეული ჭკუით, გამოცდილებით, მაღალ ზნეობით და სიმართლის მოყვარეობით. მოკრძალებით მიუახლოვდა მამფალს, მიწამდე თაყვანი სცა და ნებართვა თხოვა მოეხსენებინა მთელი თემის გულის ნადები.

დასტური მიიღო, აღახვნა, ბაგენი და მოახსენა: „ისმენდი მამფალთ-მამფალო, ცხოვნდი უკუნისამდე! მამები, მამის-მამები, პაპები და პეპერანი ჩვენი და ჩვენ თვითონ ყურ-მოჭრილნი ყმანი და ფერხთა მტვერნი ყოფილან და ვართ ხელმწიფებისა ღვთივ-განსვენებულ წინაპართა შეხთა და აგრეთვე შენი, ჰოი, ღვთისა მიერ გვირგვინოსანო მამფალო,! შეგვიწყალე და გვაჩუქე ერთი შიშველ-მშიერი მწყემსი, შემცოდე მარტო ოდენ სიმართლის საჯაროთ ღაღადებითა, და მთელი ეს თემი, როგორც წინადაც, კვლავაც მტლათ დაედება მამფლობასა შენსა“.

მიუგო მამფალმა: „შეუძლებელსა თხოულობს ეს ერთი თემთაგანი ჩემის სახელმწიფოისა. ყოველს სახელმწიფოში და ჩემსაშიაც არ არს სამართლე გარეშე ხელმწიფის წესებისა. როგორც ერთია ღმერთი სამ სახიერებით—მამით, ძით და სულიწმინდით, ისე მამფალიც ერთია ღვთის მიერ ნაკურთხი სამი ნიშნით: ხელმწიფობით, უფლებითა და სიმართლით! ყმა, დამჩემებელი სიმართლისა, მიმტაცებელია მამფალთ ხელმწიფების არსებითის ნიშნისა და მაშასადამე, ორგულიცა. იგი უნდა დაისაჯოს სიკვდილით!“

ეს თქვა თუ არა, მამფალმა უბრძანა ლაშქარს შემოეკალტა იქ მყოფი ერი, მოეძებნა და თავი მოეჭრა იმ მშიერ-ტიტველ მწყემსისთვის. ბძანების ასასრულებელ თავდარიგისათვის მამფალმა იქ დატოვა ნაზირ-ვეზირი და თვითონ ამალით გაემართა სასახლისაკენ.

ღვთისა და მამფლის ძალიან მოშიშკაცი იყო ნაზირ-ვეზირი. ებრალებოდა და უყვარდა ყოველი ხორციელი-კაცი, მარა სხვებზე უფრო მამფალი და მამფალზე უფრო-კი თავის თავი. გულმოდგინეთ შეუდგა მამფლის სიყვარულის გამო მისი ბრძანების ასრულებას და მოლაშქრეთა დახმარებით გაფაციცებით ეძებდა სიმართლის მქადაგებელ იმ მწყემსს, მარა ვერას გახდა: თემთაგანმა არავინ გასცა და გარეგან ნიშნით—„შიშველ-მშიერობით“ ვერ მიაგნეს, რადგანაც იმ თემში, როგორც ბევრგან სხვაგანაც ბედნიერ მამფალის სამფლობელოში, თითქმის ყველა შიშველ-ტიტველი იყო. ბევრი იფიქრა, თუ რა ღონისძიებით დადგომოდა საწადელ კვალს, და რომ ვერაფერი მოიფიქრა, შეშინდა: ვაი, თუ მამფალმა თავი მე მომჭრას სიმართლის მღაღადებელ მწყემსის მაგიერო! თავის-თავის სიყვარული მტკინვარეთ მოეგზნა მის გულს და უბრძანა ლაშქარს: გაწყვიტეთ მთელი თემი დიდიან-პატარიანათ, არ გამოგრჩესთ არავინ სულიერი, და მაშინ ის მწყემსიც გამოესალმება წუთის სოფელსო!

ლაშქარმა მოიმარჯვა შუბი და ის იყო უნდა დარეოდა თავ-მოყრილ თემს, რომ ამ დროს ხალხიდან გამოვიდა ერთი კონკებ მოსილი, ღარიბი ყმაწვილი კაცი, მიუახლოვდა ნაზირ ვეზირს და ჰკადრა: შეაჩერეთ, ბატონო, ლაშქარი,—მე ვარ ის მწყემსი, რომელიც ვესავ სიმართლეს და ვმეტყველებ მას. მე მომკალით, სიმართლისთვის თუ კაცი მოიკლებაო!“

ვეზირმა ლაშქარი შეაჩერა, მარა გულში იტვი შეეპარა: ვაი, თუ ეს სხვის დანაშაულს კისრულობს და თვითონ კი ის არ არის, ვისაც ჩვენ ვდევნითო? და გადაწყვიტა თავის გულში, გამობაასებოდა და გამოეცადა იგი. თუ ჭკუიანური პასუხები მითხრა, ხო რა, კარგი, თუ არა და ის არ იქნებაო: ბრიყვი სიმართლეს ვერ მისწვდებოდაო და ჰკითხა:

—მუნიანი ძაღლი ჯობია თუ ბედაური ცხენი?

მწყემსმა მიუგო: თუ ბედაური ცხენი თქვენი ხელობის კაცის მატარებელი იქ-

ნება, ბატონო, მაშინ მუნიანი ძაღლი ჯობია, რადგანაც მალე მოკვდება და მალე მოანაკელებს ძვლებით მიწას, რომელიც უფრო მეტს მოსავალს მისცემს ხალხსო. ხოლო თქვენისთანების ბედაური დიდ ხანს ცოცხლობს, ადგილ-ადგილ სისწრაფით გადაჰყავს უფლებით მოსილი კაცები, რომელნიც ავიწროებენ და ტანჯვენ ხელ-მოკლე მუშებს, ქვრივ-ობრებსა და ღარიბებს, და ამ ნაირად ხელს უწყობენ, თუმცა შეუგნებლად, უსამართლობის უფრო სიჩქარით გავრცელებასო.

ვეზირმა ჰკითხა:—ვინ მეფობსო?

მწყემსმა მიუგო: ხორციელი ვერავინ, არამედ ყოველგან და ყოველთვის უმეფობია და კვლავაც იმეფებს დროვო!

ვეზირმა ჰკითხა: რა არის ნიჭი საერთოთო?

მწყემსმა მიუგო; ნიჭი ზენაარი ძალაა, რომელსაც წრთვნა წყენს და სწავლა აღაფრთოვანებსო!

ვეზირმა ჰკითხა: როელი ქარია უფრო ძლიერიო?

მწყემსმა მიუგო: ერის თავის-თავის შეგნებისაგან დაბერილი ქარი ყველა სხვა ქარებზე უფრო ძლიერიაო.

ვეზირმა ჰკითხა: რა არის ამ დროის მწიგნობრობაო?

მწყემსმა მიუგო: ამ დროის მწიგნობრობა ისეთი ასპარეზია, რომელზედაც მარულაზე გამოდიან ერთსა და იმავე დროს: ბედაურები და ბარგის ცხენებიც, ვირები და ახლად დამუტრუკებული ჩოსრებიცო.

ვეზირმა თავის გუნებაში თქვა: ამან ისეთი ჭკვიანური პასუხები მითხრა, რომ წორეთ ეს უნდა იყოს სიმართლის მეყველიო. ანიშნა ლაშქარს და იმ უბეურ მწყემსს ფიცხლავ მოკვეთეს თავი. რე მიუბრუნდა თემს ვეზირი და უბრნა: დაივწყეთ, რაც ამ კაცისაგან გაგონიათ. თუ არა და თქვენც ამ დღეს ელოდეთო,—და დაედევნა მეფეს აშქრიანათ.

ნაზირ-ვეზირი და ლაშქარი მამფალს მოეწივნენ ერთ ლაჟვარდ-წყლიან ტბის რად და მოახსენა სიმართლის მეტყველის თავის მოკვეთის ამბავი. მამფალმა ეთ სამახარობლოში ათი სოფელი უწლობა ვეზირს და ლაშქრისათვის კი ითო ტიკჭორა ღვინის მიცემა ბრძანეცის თავზე. მამფალმა ნაზირ-ვეზირი, წიგნობართ-უხუცესი, ამილახორი და ხრა პირის-ფარეში იქ დატოვა და ლაქარი დაითხოვა. იმ ტბის ერთ მხარეს, ალალ ბრეგზე, თვალ-უწვდენელ სიმაღლისა და შორს ტოტებ გაწვდილი მუხა დგა. მამფალმა იქ ინება საჩრდილებლად დასვენება.

ფარეშებმა გაშალეს ფას დაურქმელი ხალი, დააწყვეს თვალ-მარგალიტის ფოჩებიანი აბრეშუმის მუთაქები, ზედ დაალაგეს ლალებითა და ოქრო მკედით მოქარგული ბალიშები. მამფალი და მისი პირმშო დაბრძანლენ ხალზე და მიწვენ ბალიშებზე. ვეზირები და, ცოტა მოშორებით, ფარეშებიც თავს დაადგენ და ბრძანებას ელოდენ.

უცებ მამფალმა თვალი მოკრა, რომ ტბაში, პატარა ჭალაკზე, იდგა ერთი ჭაბუკი და რაღაცას მუნჯურად ანიშნებდა წყალს. „ვინ არის ის ჭკუიდან შეშლილი, და რას აკეთებს იქ შემიტყვეთო!“ ბრძანა მამფალმა.

ვეზირები მაშინვე გაექანენ იმ კაცთან და ამბავი მოართვეს მამფალს: ასე მოგახსენებსთ, თევზებს ველაპარაკები, თევზების ენა ვიცო.

„მომგვარეთ აქო“, ბრძანა მამფალმა და ვეზირებმა იმ წამსვე აასრულეს მისი ბრძანება.

—შენ თევზთა ენა გცოდნია, რა მოგცე რომ მე და ჩემს პირმშოს გვასწავლოვო? უბრძანა მამფალმა.

—რაც თქვენი ნება იქნებაო, მოახსენა მეთევზემ.

—შენს წონა ოქროს მოგცემო, უთხრა მამფალმა.

—ცოტა იქნება, მწყალობელო ბატონოვო, ჰკადრა მეთევზემ.

მამფალის შუბლს წყენის ღრუბელმა გადაუარა. ეს შენიშნა ნაზირ-ვეზირმა, მიიჭრა მეთევზესთან ღა ყურში წასჩურჩულა:

—ოღონდ ჩვენს ბედნიერ ბატონს ცუდს გუნებაზედ ნუ დააყენებ და ერთ დღეს რასაც მე და ჩემი ამხანაგები ქრთამს ავიღებთ, ნახევარს შენ მოგცემთო.

—ჰოო, ამ პირობაზე კი თანახმა ვარო...

ისწავლეს მამფალმა და მისმა პირმშომ თევზთა ენა, ამხედრდენ ცხენებზე და ვეზირებ-ფარეშების თან ხლებით, ნელი ტარებით დაჰყვენ ტბის პირ-პირ.

ლაჟვარდ წყალი ტბისა ისეთი ანკარა იყო, რომ არა თუ თევზები, პაწაწა კენჭებიც კი ნათლად ჩანდნენ.

ერთ ალაგს, სადაც წვერას (მურწას) მოეყარა თავი, მამფალმა და მისმა პირმშომ შემდეგ საუბარს მოჰკრა ყური;

—გაიგე, ჭრიალავ, ფორაჯებს რა დღე დადგომიათ? მოსულან მეჩანგლეები და სულ დედის რძეს ანთხევინებენ პირიდან! ხმა ისმის, მათი სინსილა უნდა გასწყვიტონ ამ ჩვენს ტბაშიო. ჰაი თუ დაგვრჩეს ბურთი და მოედანიო?..

—არა, ჩემო პრიალავ, მიუგო ჭრიალამ—აქ ჩვენი გასახარებელი მაინცა-და -მაინც არა არის რა: ფორაჯებს რომ გაწყვეტენ, მათ ნაცვლად ღლავები გამრავლდება, ჩვენთვის კიდევ უფრო საშიშარი ჭირი. ბურთი და მოედანი კიდეც რომ დაგვრჩეს, მაინც ვერ შეეირჩენთ: ჩვენი ცივი სისხლი და წყლით სავსე პირი ჯერ კიდევ დიდხანს აბატონებენ ჩვენში მეჩანგლეებს...

მამფალმა და მისმა პირმშომ შეხედეს ერთმანეთს და გასწიეს იქით, საიდანაც მოჩანდა კალმახების კრება.

—წინწკლავ, ეუბნებოდა ერთი კალმახი მეორეს,—მე მგონია ამ მიწის ხელმწიფემ, რომელზედაც ეს ჩვენი საცხოვრებელი ტბაა, ჩვენი ენა რომ იცოდეს, ეცდება ჩვენი ბედის გაუმჯობესობას. ჰა, როგორ ჰფიქრობ?

—რას ამბობ, ბეპლია, ღმერთმა ნუ აცოდინოს მამფალს ჩვენი ენა, თვარა საშინაო ლიპარაკსაც აგვიკრძალავს, არა თუ ბედი გაგვიუმჯობესოს... განა მისი ყმების, მისივე მსგავსი ადამიანების ენა არ ესმის, რომ სამ-ფად ტყავს აძრობს?!

მამფალმა გააქნია თავი, შეხედა თავის პირმშოს, და გასწია იქით, სადაც ნაპირთან მებადურებს ცეცხლი დაენთოთ და ხრამულებს ხარშავდენ ხუფ-დახურულ დიდ ქვაბში. ქვაბიდან ყრუთ მოისმოდა:

ამას გკითხავთ: ცხოვრებაა
ჩვენ რომ ვცხოვრობთ თევზ-კიბურათ?
ცნებას სიტყვათ, სიტყვას აზრათ
ვერ ვაქცევთ და ვყმუთ მგლურათ!
დიდსა ქვაბში მძიმე ხუფს ქვეშ,
სულს ვერ ვითქვამთ, ვიგუდებით...
მის ნაცვლათ, რომ თავს ავხადოთ,
ერთ-ურთ ვკენწლავთ, ზედ ვაკეეებით!..
რასაც უნდა მხარს ვაძლევდეთ,
იმას ვქელავთ, იმას ვსრესავთ;
ჩვენს დასაკლავს სამართებელს
ჩვენვე ვჰედთ და ჩვენვე ვლესავთ!
ვინც რომ ქვაბში, მძიმე ხუფ ქვეშ
ჩაგვსხა, გვხარშავს ნელსა ცეცხლზე,
ტკბება ჩვენი დაბრმავებით
და... გვაქეზებს ერთმანეთზე!..

მამფალმა შეიკმუხნა წარბები და ჩაღუნა თავი. დიდხანს იყო ასე დაფიქრებული, ბოლოს აწია თავი და უბრძანა ნაზირ-ვეზირს—თევზის სინსილა გაეწყვიტა იმ ტბაში. მერე ამოიყენა პირმშო გვერდით და დაჯავრიანებული დაადგა სასახლის გზას.

ცოტა ხნის შემდეგ პირმშომ შეჰბედა მამას და გადუჩურჩულა ყურში:

—მამა ბატონო, რა დიდი უბედრება იქნება თურმე, თევზებმაც რომ კაცურად ამოიდგან ენა?

მამფალის მკერდიდან ამოხდა ყრუ გმინვა, მოხვია ხელი პირმშოს, მიიახლოვა და ჩუმათვე ჩაულაპარაკა ყურში:

—ნუ გეშინია, შვილო, სანან მამაშენი ცოცხალია, თევზებს კი არა ადამიანებსაც არ ამოადგმევინებს კაცურათ ენას!..

მამფალის პირმშო მამის ერთგული და მორჩილი შვილი იყო, და როცა მას ხვდა მამფლობა, სცადა მამის კვალს დადგომოდა, მარა ბედის კოჭმა უმტყუნა და ალჩუს მაგიერ თოხლოთ დაუჯდა...

თ. მაგმაძე.

ექსპროპრიაცია პეტერბურგის უნივერსიტეტში.

პროფ. ბორგმანი: ბ. ხულიგანო! მე თქვენ, მგონი, სადღაც მინახვიხართ?!

ექსპროპრიატორი: შესაძლებელია! ალბათ ჩხრეკის დროს გამიცნობდით.

—სემაშკოს დაეძებენ... არიქა, თავს უშველოთ!..

—მერე შენ რა?.. შენ ხომ სემაშკო არა ხარ?!.

—„კამენდატსკი უპრავლენიაში“ მიგათრევენ და მოდი და დაუმტკიცე, რომ ივანოვი ბრძანდები!



ექსპროპრიაცია პეტერბურგის უნივერსიტეტში.

ნახევარი საათის შემდეგ... ერთი საათის შემდეგ...

დეკეშები.

(საკუთარ კორესპოდენტისაგან).

პეტერბურგი. ეჭვ გარეშეა, რომ აგრარული საკითხი ასე გადაწყდება: სამი არშინი მიწა არავის დაეკავოს, ვისაც მიწა არა აქვს, როცა მოკვდება. ეს მიწა ძალათი უნდა ჩამოერთვას ადგილის პატრონებს, ხოლო სასყიდელი უნდა მიიღონ. თავისუფლების საკითხიც ამ სახით გადაწყდება, იქონიეთ სრული იმედი.

ფოთი. უმუშევარ მუშების ბიუროს კარებთან მოვკვდი. ჩემ თვალ წინ მომუშავე მუშები შემწვარ გოჭებს გიახლებოდენ, მე კი ტუჩებზე მშიერ ძაღლივით ნერწყვი გადმომდიოდა და ელდით ალხი მეცა და მოვკვდი. რაღაა ამისთანა ერთობა, რომ ერთს ახრჩობს მეტის მეტი ჭამით და მეორეს კი შიმშილით.?!

ქუთაისი. ბ. გ. ზდანოვიჩს მე IX „სიეზდისთვის“ უმზადებენ (სოლომონ, ივანე და ძმანი მათნი) გვირგვინს, მაგრამ ჯერ ბჭობა იმაზე აქვსთ — ეკლის იყოს თუ ვარდების.

პეტერბურგი. პურიშკევიჩს დაეკარგა თვისი საკუთარი მელოტი თავი. პოვოლაკ კრუშევანი თავ-გამოდებით ეძებს და შეუმოწმებლათ ერთ ძაღლსაც არ უშვებს. ვინც უნახავს, პირდება—„პაგრომჩიკების“ რაზმში მიღებას და ურიების ავლადიდებით დაჯილდოებას.

ქვირილა. ყვირილას ერთი ობერ ხულიგანი კიდევ მიემატა.

იქიდანვე. დღეს დაკეტეს გლეხთა საეკრო ამხანაგობის „იმერეთი“-ს კანტორა, ყვირილის ეკრების „დანოსის“ გამო. ხულიგანი ეკრები დიდის აღტაცებით მიეგებენ მანსვეტ ივის განკარგულებას.

—შე მამაცხონებულის შვილ... შენ ქმარს რომ შინ მოუგ... ანდეს, ხომ გავიგუდე ამ ობ... კალათაში?!

—ნუ როტავ სისულელეს... რა პასუხია! ამას წინეთ ჩვ... პეტრე მთელი დღე და ღ... ამ კალათაში იყო დამწყვდე... ლი, მაგრამ ის არ გაგუდულ...

ბელაგორი. ბელაგორის ბოკაულ... თანაშემწეს ივ. მიქელაძეს, ღვინის სმ... სათვის, ქალების შეურაცხყოფისათვ... ინტელიგენტების ცემა-ტყეპისათვის ... ულია... ადმირალობა, ამბობენ მაკარ... თან გამგზავრებას აპირობსო...

გამომცემელი **თინა ბაქრაძე.**

ელექტროსტეტდავი ალხ. „სორაპანი“ მადათოვის ქუჩაზული, სახლი მუხრახაძისა, № 1.